

თეატრი

საყოველ-კვიროს ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

15 იანვარი

გაგონივრება

№ 24

კვირამაგი

1886 წელსა.

ფსია „თეატრი“-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ხსკვარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა ან მიიღება. ცალკე სომეხი „თეატრი“-ს დონს სამი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭავჭავაძის წიგნის მაღაზიაში. ვაჭრე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“

„თეატრის“ რედაქცია გადავიდა არწრუნისეულ ქარვასლაში, თეატრის კუერდით, სახლი № 110.

სალკე ვეზემლაარი ვაზ. „თეატრი“-სა ლირს 15 კაზ. ისყრდება რედაქციის კანტორაში არწრუნისეულის ქარვასლა, სადკლამი № 110. ჩარკვიანის ქართულ წიგნების მაღაზიაში, ივერიის პაპიროსის მაღაზიაში—ბულეარზედ და ხილის ყურზე, ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ, პაპიროსის მაღაზიაში.

სომკარვის თეატრი

ჩსკვრების თეატრი—ნეტა რა არის? მკითხვეს მლოთმუნელი მკითხველი. რომანია?—არა. მოთხრობა?—არა. ზღაპარი?—არა, ბატონო! მამ მკენიერი რამე გამოკვლევას არის?—არც ეს გახლავსთ. მამ უთუოთ ჭკუის მკტი ძალ-დატახების ხყოფი იქნება? არა, ბატონო, არა! მამ რაღა დარდუბლდა?! აი გიმკვლას დმერთმა, სწორედ რომ დარდუბლდა! არც ესება გამკვება-არა, დუდუნეს გაოცებული მკითხველი და მარ-თაღიც არის! განა მე არ ვიცი, ჭკმა მკითხველო, რომ არაფერი გაგებება-არა, მკვრამ ერთი მითხარ, რა საჭი-რთაა ესლანდელ დროში „გაგება“?... მერწმუნე, ისეთი ცუდი არაფერი არ არის-არა ჭკუანახვედროგორც „გაგება“ მკეტადრე ესლა, ჩკენს დროში, მკენ ვი, მკითხველო, ყოველისფრის „გაგება“ მოგაწადინებთ. კვ სომ მკტის მკტი ტვირთი იქნება მკნისთანა და ჩკმისთანა უმდურისთ-

ვის... არა, მკითხველო, გიჟობს ისე იმ გაგებობ-ბაში დარჩე, როგორც აქამდე ყოფილხარ, თორემ თუ ცოტათი მინც ხინდიისი და მკტიოსხება მკვრჩენია—„გაგება“ დაგტანკამს, სისხლს ამოგიშრობს, დგადნ-დაგასმობს... გაიგო—არც ხეება მკენს გაწმომო, გაი-გო რას სხადიან ვაგები, გაიგო—რა ღონის-მიებით და სსმკვლობით ცხოვრობენ დედ-მამანი, გაიგო—არც ხე-ბა მკენი ამხანაგის ან თვითონ მკენი ცოლის, დის, საყ-ვანდის სარეცელზედ... გაიგო—როგორ ეწერობა მკი-ლიმამას, მამ მკვიდს, ურჩი ჭკვიანს, ძალა უსკამლო-ბას, უმკვრება განათლებას, სიბრიყვე ნიჭს, მუბდ-გა-რეცხილი რანხი მკტიოსხებას, კუდა-პზიკა სინიჯისს... კქა მკითხველო, გირჩევე შორს მოუარო ვკვლას, თე-ლი დანხულო, რომ არ დხბრძედე, ყური დაიგო, რომ არ დჩერუვდე; ცხვირ-პირი დაიყარო, რომ არ მოი-

წამლო, გონება დანდუნეო რომ არ გავიყდე ან თავი
 არ მოვიკლა... დიხსილდა, „გეტეა“ მეტად მსგავსი.. ნუ
 გინდა „გეტეა“ შენ გასწი შენთვის პატიოსნად, ნურც
 უკან, ნურც მარცხნივ-მარჯვნივ ნუ მოიხედები... გასწი
 წინ სიმატლით აღჭურვილი და დარწმუნებული შენს
 გაცემურ კაცობაში, — რომ, სიცოცხლის გორგლის და-
 ხვევის დროს, პირნათლად და უშიშრად შეტეოდოს სთქვა:
 „მე მხოლოდ ღმერთის ვიყავი და გაცურად განვლე ჩე-
 მი შინა-თქო“!... მკვრამ დავიწყოთ.

* * *

ცხოვრების თეატრი, მკითხველო, ისეთივე თეატ-
 რია როგორც სასოგადოთ ყოველი თეატრი, ხოლო
 ათასჯერ უფრო საყურადღებო, უფრო რთული და მსე-
 ლად გასაგებო, ისე მსგავსი როგორც თვით ცხოვრება.
 ცხოვრების თეატრი მეტის-მეტად შეუბრალებელი, გ-
 დაჭარბებული, კანასი და წინადაუსხედავი, იგი მრისხ-
 ნია, ბაიუმიხავით თავ-მოყვარე, რისაზნი, ყინით სავსე
 და ვახვადებულია... ერთის სიტყვით ცხოვრების თე-
 ატრი არის სტიქია, ძალა, რომელიც არ ემოსება და-
 მინანს წესებს და ჩვეულებას არც ჭკუის სიღრმეს
 და არც მისი ქათამებს... მოუვლის ცხოვრების თეატრს
 ყინი ან ქვიფი და ზედი-ზედ ისეთს წარმოდგენას გა-
 მართავს სოფლზე, რომ ვერც ერთი სექვენით განთქმე-
 ლი სენის ვერ შეადრება. რა გინდა, რომ იქ არ იყოს:
 ტრადედია, დრამა, მელო დრამა, ტრადიციული, ვოდე-
 ვილი, თარსი და კიდევ მრავალი სასე დრამატული პო-
 ეზიისა დამხადებით. ყოველნი არიან ერთმანეთში. რა
 ნაირი მოქმედ პირს, რა ნაირი ამბულას არ დანასამს
 კაცი ამ ცხოვრების თეატრსედ. აქ ყველანი თამაშობენ
 თავიანთი როლებს და სძირად სხეულისასაც. — ხოლო
 ტრადიციულთ გაიხსნის, ხოლო კომიკურათ წიბინებს.
 გაცი, ქალი, ბავშვი, ბებერი, ასე ღვავდა ერთი მეორეს ას-
 წრობენ, ხოლო ბედისკაცი და წილდოკებული, ისე თამა-
 შად და სელაფრამით თამაშობს თავისი როლს, რომ
 გამომხინდო კინი და ტალმა მასხარად მოჩანს მის წი-
 ნაშე. ბედნიერია ის კაცი, რომელიც მსურველთა არს;
 მაგრამ ეს ისე ძნელია, როგორც ქართულ კაცის გა-
 მამადანება — საქმე იმაშია, რომ ცხოვრების თეატრ-
 სედ ყველანი ერთ და იმავე დროს მოთამაშებიან არიან
 და მსურველნიც. აქ ყველა აკტიორია, ყველა არტის-
 ტია, განა ტყუულს კანობა, მკითხველო, ან დავეირ-
 დი შენს ნაწილებს თუ გინდ თვითონ შენს თავსაც
 და მერწმუნე, რომ ბევრს „არტისტებს“ ამ კვი მით
 შორის... ყველანი, შერც და მეც ჩემო მკითხველო,
 როლებს ვთამაშობთ, რომელიც დროთა ვითარებას ურ-
 გუნებას ხვეწივის... მე დავს რეზონიორებას მოკვე-

ვი, შენ იქნება ტრადიცი იყო, შენი ნაწილი ვი კომი-
 კი — ტავი მასხარა, მაგრამ საკმარისია უბრალო ყი-
 ნი ცხოვრების თეატრისა და შენ რეზონიორად იქნევი
 და მე ვი ტრადიციოთ ან ტავი მასხარად... რა ნაირი ტი-
 პის, რა ნაირი ხასიათის რა ნაირი ჩვეულებებს და
 რამდენ-რამეს იხილავს კაცი თუ ვი დავეირდება ცხო-
 ვრების თეატრს, თუ ვი მოიწადინებს თვალ-უფრისდევ-
 ნას! უმთავრესი პირის, ან როგორც ამბობენ პირველი
 პერსონაჟი, რომელიც მოქმედობს ცხოვრების თეატრ-
 ზედ, ჩემის აზრით, იყოფიან ორი უმთავრესი გუნ-
 დით... საგანი რომელსედ შენდება არავი (ჭაბუ-
 ლა) არის სიმატლი და უფლება, ან მდაბიურად
 რომ ვსთქვით „მე“ და „შენ“ ეს ორი მოწინა-
 აღმდეგი გუნდი, ეს ორი მოწინა-და-პირე სჯანნი მედ-
 მივი ჭაშან წვეეტაში და ბრძოლაში არიან ერთ-მეორეს-
 თან; დეილი ანუ სენის, სადაც იმართება ცხოვრების
 თეატრის წარმოდგენი არის სასოგადოთ მთელი ქვე-
 ყანა და კერძოთ — ყოველი კუნჭული, სადაც ვი სუნთქვა
 შესაძლებელია; რეჟისორი ცხოვრების თეატრისა არის
 ღმერთის გამომადილება მისი სერსი და სწავლა; სუფ-
 ლიორი ვი არის თვითონ ღმერთის ცხოვრება მოძრაო-
 ბა, მისი ვნება, მისი სისარული — საიდუმლო სუ-
 რვილი; ანტონიორი ცხოვრების თეატრისა, ჩემის
 აზრით, არის შიში... ერთის სიტყვით ცხოვრების თე-
 ატრი ყოველთვის სრული კომპლექტით არც შეიძლება
 ხოლმე... ყურება ცხოვრების თეატრისა შორიდან სე-
 ირია, ასლას ვი სასიხელება!

ყველა ეს იმიტომ მოგახსენე მკითხველო, რომ
 ესეა საფხულისა და მასხარად ჩვენი ქართული თეატ-
 რი განსვენებას ეძლევა და სანამ ჩვენი სელაფური
 თეატრი მოქმედებას დაიწყებდეს მე მსურს გესაუბრო
 სოფლმე ნამდვილ, ბუნებრივ ცხოვრების თეატრსედ,
 მისი არტისტებსედ, მისი ქურუმებსედ, მისი პიესე-
 ბედ, რეპორტაჟსედ. აი მაგალითად ამ დღეებში წარ-
 მადგამს ერთი ფრიად საინტერესო დრამა, სასე-
 ლად... მკვრამ გავითავოთ. ნასკამდინ.

რეზონიორი.



სულ-მობძესა ლოცვა უნდა...
 კარგი სიტყვა გულს აგრილებს...
 ბაღას ცვარი სეციური...
 ჭკა კონება კაცს სჭირდება,
 ჰოეტს გრძნობა და ჩონკური.

მესმის რისთვისაც სოფლად
 ვაგზი გულს მიღრღნის. ძალსება...
 წავალ იქ გადავარდები,
 სნაც შთახი და კლდენია
 ნაწარალის თავსედ ვამზავლებ
 ცრემლს რაც, აქამდინ ძღვნია...
 საღმა-კლდეებსა მიიღონ.
 იქნებ ნაღველი ჩემია.

მეტოხურსა თოსი უკავრს,
 მეტომარსა სანჯალ-სმაღრი...
 მოსუცს შვილი ანუკუებს,
 მოაბძრევს ტურფა ქალი...
 ჰოეტს გულს მომავალი.



ვაშთარს თოვლი დამსწრია.
 ვარდ-თულებული გასაყუსა...
 დედა ბავუსა შესტრფიალებს,
 ჭაბუკი ნორს სიყვარულსა,
 იადონი ვარდს დაჭკენისის
 ჰოეტს კი თვის ძამულსა.

სულ-მობძესა ლოცვა უნდა...
 კარგი სიტყვა გულს აგრილებს...
 ბაღას ცვარი სეციური...
 ჭკა კონება კაცს სჭირდება,
 ჰოეტს გრძნობა და ჩონკური.

მესმის რისთვისაც სოფლად
 ვაგზი გულს მიღრღნის. ძალსება...
 წავალ იქ გადავარდები,
 სნაც შთახი და კლდენია
 ნაწარალის თავსედ ვამზავლებ
 ცრემლს რაც, აქამდინ ძღვნია...
 საღმა-კლდეებსა მიიღონ.
 იქნებ ნაღველი ჩემია.

მეტოხურსა თოსი უკავრს,
 მეტომარსა სანჯალ-სმაღრი...
 მოსუცს შვილი ანუკუებს,
 მოაბძრევს ტურფა ქალი...
 ჰოეტს გულს მომავალი.

ვაშთარს თოვლი დამსწრია.
 ვარდ-თულებული გასაყუსა...
 დედა ბავუსა შესტრფიალებს,
 ჭაბუკი ნორს სიყვარულსა,
 იადონი ვარდს დაჭკენისის
 ჰოეტს კი თვის ძამულსა.



თუ გიყვარვარ დედი, გამხიარულდი! ნუცა მანც უვიბრალეთ—ერთი შეხედეთ რა ნაირად მიბღვერას, ხა, ხა, ხა, ხა... ესა ხართ ქალები და! ერთი ურჩხილის ოდენა სიმხნევე არა გაბადიათ, მაშინათვე ცრემლები... ასე ამწვიდებდა მანო ქალებს, თუმცა კი თითონ საშინელ მღელვარებას გრძნობდა. ამ დროს გამოეკანა მათკენ ერთი ყმაწვილი კაცი.

— ოჰ; შაქრო! შენც მოხველი? — მიეგება მანომ.

— მოხელით მოველი, მაგრამ შენ რომ მიღიხირ? მიუგო შაქრომ.

— რაექნა, ძმაო-ჯან, სწავლა მწადიან!

— მაშ მიღიხარ, მიღიხარ? ჰკითხა მხიარულად შაქრომ.

— ღიახ—მიედივარ! მიუგო მანომ და მწარე სიხუმე ჩამოვარდა. ყველას უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ვერცინ ახერხებდა.

— ბი მამაც მოდის, წამოიძახა ნუცამ, ბილეთიც უყიდნია. ყველანი მიბრუნდნენ და დასტურ ერთს დაზრახისელს, ქალარა შერეულს მოხუცს ბილეთი მოჰქონდა.

— საცაა მესამეს დარეკენ, ბოხის ხმით წარმოსთქვა მოხუცმა. ამ სიტყვებმა ყველა ააქოქოლა, ყველანი რაღაც უხეიროდ და უნებლიედ დაფაცურდნენ, მაგრამ ეგ მხოლოდ ერთს წუთს იყო. ტანჯვას განშორებისას კიდევ ორკეტი ტანჯვა მიემატა.

— მანო; აბა, შენ იცი, შეილო, რა ჰკვიანად და ჰტიოხნად იქნები. ჰკეა და პატიოსნება, შეილო, აღმთანისათვის უპირველესი საუნჯეა და ამასთანავე მისი ფარხმალიცაა. იშრომე, შეილო; შრომაზედ არის დამყარებული ჩვენი დღეგრძელობა. წიგნების მოწერა ნუ დაგეზარება. აბა, ქალებო, გამოეთხოვეთ; საცაა უკანასკნელად დარეკამენ.

— შეილო მანო! მხოლოდ ეს-ლა მოახერხა სობრალოდ დედამ და მხურვალედ ჩაიკრა გულში თავის იმედს. ატირდა საცოდავი დედა—ატირდა ლამაზი. ნუცაც, თალიკო, მთლად გაფითრებულ იყო და პირის სახე შეცდარს მიუგევანდა.

— მშვიდობით, დედა!... კარგია... დამშვიდლით... აქ ეანოსაც ხმა გაუწყდა, თვალეში ნაკადულები მოაწვენენ. მაგრამ არ გადმოფრქვევილან. მშვიდობით მამაე! და მამა და შეილმა ვაჟაკურად ჩაიკრეს გულში ერთმანეთი... დიდხანს იყვნენ ასე. ბოლოს შეილმა მამას ხელი ჩამოართვა და საჩქაროდ მატარებლისაკენ გაიწია. აშკარად ეტყობოდა, რომ ცრემლების შემავრება არ შეეძლო და

მაგიტომ დამალვას ცდილობდა. მამის ჩასისხლებული თვალეზიდან ორი მსხვილი ნაკადული გადმოეშვა და მის ქალარა წვერ-ულეაშში გაერია. დამამ გრძნობიერად ჩაჰკოცნეს ერთმანეთი.

შაქრო, მშვიდობით, ბედნიერად გამყოფოს ღმერთმა—და ახალ-გაზნა ამხანაგებმა ამხანაგურად გადაეხვიენენ და გარდაკოცნეს ერთ-მეორე.

თალიკო კი-ხმას არ იღებდა, თითქოს არ გრძნობდა, რაც ხდებოდა მის გარეშემო. მესამედ დარეკეს.

— „Госпа пршу сдица в—огонь!“ თუთუ-უშვიით ზედი ზედ მიახეტყვა ვილაც ჩამომხმარ კონდუქტორმა.

— მანო! ერთად დაიკვილეს ქალებმა და მიეხვიენენ წამსვლელს. ორთქლის მატარებელმა ერთი ისეთა დაჰკივლა თითქოს სიცოცხლეს ეთხოვებოდა და ზოგთ ეწერებინანი ბარიშნებს. კინალამ გული არ შემოეყარათა.

თალიკო!...

— მანო!... მიჯნურებმა პირველად აკოცეს ერთ-მეორეს. მათი ტუჩები ლოდივით ცივი იყო. ეგ კოცნა იყო პირველი და იქნება უკანასკნელიც... ერთს წუთს ეანო მიტარებელში იჯდა. დაიძრა მატარებელი—ჯერ წელა—მერე აჩქარდა, ბევრმა პირჯვარი გადისახა, ბევრნი ქუდს და მანდილს იქნევდნენ, ბევრნი... მაგრამ მატარებელი, ეგ აღამიანისაგან მოგონილი ვეშაპი, მალე თვალთ მიეფარა.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. სტანციის მოხელენი და ჟანდარმები თავის სოროში შეძვრენ. რამდენიმე ხნის შემდეგ არეინ არ იყო სტანციის პლატფორმაზეთ. მხოლოდ ერთს ადგილს ვიწროდ მიკუნჭულიყვენენ სამა ქალი და ორი ვაჟ-კაცი, რომელნიც რაღაც გაშტერებით და ოცნება გატაცებით შეჰყუროდნენ იმ ადგილს—სადაც მატარებელი მიემალა. დიდ ხანს იყვნენ ამ მდგომარეობაში. აშკარად ეტყობოდათ, რომ მათ ცხოვრებაში რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი მომხდარიყო, ყველას თავისებური აზრი და ფიქრი უელავდა თავში—თუმცა ფიქრის საგანი ერთი-ლა ეანო იყო.

მანო! რამდენი სიცოცხლე; რამდენი გული, რამდენი იმედი მოელის შენი სიცოცხლის დღეგრძელობას, შენი იმედის განხორციელებენ!...

გაკლება

ბალახური კომედია.

(შეკრებილი ს. ნებაძირში ს. ლონდაძისგან)

1

რბ ვთქვა ზირ-ბადო, შენი საკნდრო,
 ანგრეც მე შენ თავს ვენაცვალეები.
 თმათა ლამაზო, ეელ-ეურ წუახარო,
 სულ უხინჯო გაქვს ორი თვალები:
 ვხედავ რო ელავს, შავათ რო ღელავს;
 ძელნის ტბა არის დაუშრობელი.
 ცსუირი შოთასი, წარბი ჯ ღიხა,
 მას კარეშემო ბროლი არისო.
 ბაკე და კბილი ძაწ-მარკალიტი
 სანდომობითა სამსე არისო.
 ნურც მოკეშლება დაო, ბატონო,
 სამოთხის ტახტი შენი არისო.

2

ოქრო ოქროს შეუწონე,
 მარკალიტი მინასაო.
 ნათლი-დედის სილამაზე
 არას არეებს სვინასაო!

3

ჩვენ იქით ერთი ვეღია,
 ია დვას ვარდი ფუნია.
 კოშკი დვას მარმარილოსი,
 ცას წვერი მახუბუნია.
 შიგა ზის ქალი ღამაზი,
 ზირი თმისაგან ბნელია.
 რათ უნდა მას სავარცხელი,
 ლალი ოქროსა ფერია.
 მამამთილი თავს ადვია.
 მულის წული ფარეშია.

თეთრი ქალი ბრინჯს არწევდა,
 შავკრიძალი სამარსოსა.
 თეთრმა ქალმა დამიტიროს,
 შავკრიძალმა დამმარსოსა.

5

მთას ირემი გასუქდება.
 ძირს ჩამოვა დიჭობასს.
 ბევრი გოგო მოვატეშე
 ჩემსა უძწვილ ბიჭობასს.

მოხაზის სილამაზი.

I.

მარჯვე ბიჭი.

ქალმა სთქვა:—ქმარი გონჯი მეავს.
 ჩაუკეტა ვარებიო.
 ქმარი სჯავრობს: „მიხეში მქექს,
 „ღარ მივეყარებიო.“
 უცხო ანობს:—ვაი დილილმე!...
 კედელს მოვეფარებიო;
 შუა დამე რომ დადგება,
 ხასლში შევიპარებიო;
 თვალ ქუქუნა მე დაძრება
 და იმთი ხარებიო.
 მეძრე ქმარმა, სამდეგროდა,
 ძალხედ რეკოს სარებიო.
 რას უსამენ მარჯვე ბიჭსა
 თუნდა ქვეუნი ჯარებიო!

ს. მონაგარიძე

შეშლილი სიყვარულისაგან *

დრამა 5 მოქმედ. თხზ. ღონ-მანუელ ტამიისი და ბაურისა.

სცენა IX

მეფე, მემრე აღდარა.

მეფე. ღიან, სამართლიანად არის იგი ჩემგან დასჯილი. მეტის მეტი სასტიკი სასჯელი ხომ არ არის? არ ემჯობინება მისი სიკვდილით დასჯა ხეაღლისთვის იყვეს გადადებული? ოჰ, რა მალე შეფერხდება ხოლმე ჩემი გაუბედავი და სუსტი გული მონღი ჩემთან, აღდარა, მე თქვენი ნახვა მსურს.

აღდარა. რა მდგომარეობაშიც ეხლა თქვენა გხვდავთ—მე სრულიათაც არ მიკვირს... მე ვიცი რომ დედოფალი აქა ჩიება და მაშ მეც აქ აღარ დამედგომება.

მეფე. ნულარ მანაღვლებ, აღდარა: მე ისეც ვიტანჯვი.

აღდარა. შინ არის დამნაშავე, თუ არა თქვენგან? ეხლა მაინც რაიმე ზომები მიიღეთ, მეფე, თქვენი მოწინააღმდეგების ასალაგმად.

მეფე. თქვენ მართალს ამბობთ. ერთი მოწინააღმდეგეთაგანი ჩემს ხელშია, სასჯელიც დაუწესე და მინამ თქვენ სიტყვებს გავიგონებდი, ჩემი გული მზად იყო შეენდო იგი.

აღდარა. რას ამბობთ, მეფე? განა-ლა შეიძლება იმისი შენდობა, ვინც ურჩევს დედოფალს აქ დარჩენას? ახ, დამცირებულნი სისუსტე! მე სამუდამოთ გეთხოვებით.

მეფე. ღარჩით აქ! თქვენი აქ ყოფნა გამამხნევებს.

აღდარა. ორი გზით შეიძლება ტახტზე ასვლა: უხვათ დარიგებული ოქროთი და საზოგადო შიშით. პირველი საშუალება გინმარიათ, დროა ეხლა მგორე საშუალებას მიმართოთ. ნურავის ნუ შეიწყალებთ და სიკვდილით დასაჯეთ ყველა თქვენი მოწინააღმდეგენი.

მეფე. სიკვდილით დასაჯო? გპირდებით თქვენ.

აღდარა. ღეე პირველად დედოფალი დასაჯოს.

მეფე. იგი დასჯება.

აღდარა. ერთ-ერთი მოამბოხეს სიკვდილით დასჯა მაინც შიშის ზარს დასცემს დანარჩენ მოამბოხებს.

მეფე. თქვენ არ იცით? ამ კაცს ორ-გვარი დამნაშაობა მიუძღვის; იგი ეძებდა თქვენს სიყვარულს...

აღდარა. როგორ?... რას ამბობთ?

მეფე. თქვენს სიყვარულსა, რომელი შეადგენს ჩემს ბედნიერებასა, საგანს ყველა ჩემი მშუბარებასა. თქვენი სიყვარული—მთლად ჩემი სიცოცხლე.

აღდარა. თქვენ ვიხვდა ლაპარაკობთ?

მეფე. განა არ გითხარ? ურცხე მეტოქეზე, ღონ-აღვარესზე.

აღდარა. ააღვარესზე!

მეფე. ნუ გეშინიან—მე ჩემს განაჩენს არ დაეარღვევ; მშვიდობით, აღდარა მე მოსვენება მინდა.

აღდარა. (მისდექ) რაში მდგომარეობა ეგ განაჩენი?

მეფე. ღონ აღვარი დღესვე სიკვდილით დასჯება ამ სასახლის ერთ-ერთს კოშკში.

აღდარა. (აკანკალებული ხმით) სიკვდილით დასჯება?

მეფე. სიკვდილით დასჯება! (მიდის მარჯვნივ).

სცენა X

აღდარა, მემრე დედოფალი.

აღდარა. სიკვდილით დასჯა! იგი უნდა მოკედეს! მოკედეს ჩემი დანაშაულობისთვის! არა, მე მოტყუებული არა ვარ, ეს მეფემ მოთხრა: ყარგად გავიგონე! მის ფეხებ წინ დავეგები... (მიდის იქითკენ საინთაც მეფე წაივდა) უბედურო ჩემო თავო! (დადგება) მეფე ექვიანობს, და ჩემი თხოვნა აღრე მოუსწრაფებს აღვარს, სიცოცხლეს ოჰ, დაწყველილო შურის ძიება, შენ მე თეთონ დავიგე მანე! მე აქ რას ვაკეთებ! უნდა წაივდე ჩქარა და რაიმე ღონისძიებით იგი სიკვდილს გადავარჩინო. ღიან ან უნდა გადავარჩინო, ან იმასთან ერთად მეც განვიწირო სიცოცხლე. აღვარი ჩემ სიცოცხლეზე უფრო ძვირია! მაგრამ რას მიემართო? რა ღონისძიება აღმოვაჩინო? (მივარდება დედოფალს, რომელიც მარცხნივ შემოდის) ახ, დედოფალო, შემებრალეთ, შემებრალეთ მე!

დედოფალი. თქვენ აქა ხართ?... და მხედობთ თქვენ ჩემს წინ შეხვედრას?

აღდარა. ნუ გამწირავთ...

დედოფალი. მომშორდით... მე ჩემს მეუღლეს ეძებ.

აღდარა. შემებრალეთ, მაბატყეთ (დედოფალს ფეხებ წინ) ბევრი შეურაცხუბა მომყენებიათ თქვენთვის, მაგრამ ენაობ და თქვენ შემინდეთ.

დედოფალი. განმამარტეთ...

ალღარა. ღაიჯერეთ, ღაიჯერეთ ეს რასაც მე გეტყვი მე არ მიყვარს მეფე, მე იგი თავის დღე-შობაც არა მიყვარებია, ჩემი გული სხვას ეკუთვნის. მე მიყვარს დონ ალღარი.

დედოფალი. აბა მაგას რას ამბობ?... შენ არ გიყვარს მეფე!.. ესეც ახალი ტყუილი?

ალღარა. ჩისთვის ვატყუებდი ამას, რომ ესლა ჩემსას არაფერს იჯერებს. მაგრამ შემომხედეთ: ეს ტრემლები, ეს ოხერანი გულისა არა ტყუიან. არც ჩემი ბაგენი ტყუან! გეფიცებით! ესლა ხომ დაისჯები? რა ექნა რომ თქვენ დაჯაჯეროთ?

დედოფალი. მე შენი არა მესმის რა... განმარტეთ...

ალღარა. მე მეგონა, მაპატიეთ, მე მეგონა რომ თქვენ ღონ ალღარი გიყვართ... მე თქვენ ჩემს მეტოქეთ წარმოგიდგინე, და ეექვიანობდი.

დედოფალი. მე ვთვალ-მაქცობდი აგება-მეფემ ჩემზე იქნეფულოს მეთქი.

ალღარა. და მეც რომ თქვენთვის მაგიერი გადამეხადნა, ვთვალ-მაქცობდი რომ მითომ მეფე მიყვარდა.

დედოფალი. (აღელვებით) მაშ შენ არ გიყვარს მეფე?

ალღარა. თქვენს თავის დღეში არა გიყვარებით დონ ალღარი?

დედოფალი. შენც ექვიანობს უბედურო, რა რიგად ღაიჯანჯები!

ალღარა. ღიხ, თქვენ იცით რა არის ექვიანობა! დამეხმარეთ იმ უბედურის განთავისუფლებაში. განა თქვენთვის არაის მოუხსენებია? მეფეს მისი სიკედლით დასჯა უნდა.

დედოფალი. ჩისთვის?

ალღარა. იმისთვის რომ იმას ერთგულობა მოუძღვის თავისი კანონიერი დედოფლის წინაშე, რომ ის ეთაყვანება თავის ბრძანებელს. განა შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ რომ ამ მეფე—მტარვალმა ამ საქციელისთვის განწიროს თქვენი ვასალები?

დედოფალი. იგი ამას არ იქს...

ალღარა. ალღარი ესლა უნდა მოკლან.

დედოფალი. როდის?

ალღარა. შეიძლება აი ამ წამშიაც სასახლის ერთ-ერთს კოშკში! და თქვენ მე არ მშორდებით, კიდევ აქა ხართ? შემობრალეთ! ვფიცავ თქვენს ღმერთსა. ერთ-არსებას, რომელსაც მე ამ წამიდან ვეთაყვანები, რადგანაც იგი მოწყალეა და გვიბძანებს ერთი ერთმანეთის პატიობას...

დედოფალი. თუ მართლა გწამს ჩემი ღმერთი, შენი და ვიქნები, თუ მართლა ღვივის სიყვარული ამ კაცისადმი—შენ ჩემი და იქმნები, (აღდარა, ტრემლებით დანაშული, რომდენჯერმე ჰკოცნის მის ხელებს) შენ ტყუილად არ მიმართე ჩემს გულს, დედოფლისა და დედა-კაცის გულსა. შენ ტყუილად არ ახსენე წმინდა სახელი ღმერთისა რომელიც ერთი ოხერისთვის მპატიოს მთელი სიტუაციის ცოდრებს. შენი გულის კენესა ჩემს გულს ბანს აძლევს. ღმერთმა შეისმინა შენი სიტყვა და შემოიკრდა. დამშვიდდი, დარ ჩემო, მტარვალობამ გამოილო იმაზე ხელი და ნუ გეშინიან დედოფალი დაიხსნის თავისერთგულს, შენი და დაიხსნის იმას ვინც ეგრე გიყვარს! (მიდის).

სენა XI

ალღარა, მერე მეფე, მერე დედოფალი.

ალღარა. იგი მე დედოფელს, დედოფალი კი ცდილობს მის დახსნას. ჩემმა ღმერთმა შემქნა მე მონად დაუცხრომელი სვე-ბედისა, იმისმა ღმერთმა კი კეთილ ინება და მომცა ნება შენანების ტრემლებით გაერეცხო ჩემი დანაშაულებანი. იყავ კურთხეულ, დაუფასებლო დედა-კაცო, და ათი-ათასჯერ კურთხეულ, დამხსნელო ქვეყანისაო!

მეფე. (შემოდის) ერთს წამსაც ვერ დამცხრა-ლა ჩემი გული... საშინელი ტანჯვა მღრღნის და ვწვალობ მოუთმენლობით.

ალღარა. (თავისუფალი) მეფე!

მეფე. (აღდარას) ალღარა!

ალღარა. (ერიდება) დამანებეთ თავი! მომშორდით!

მეფე. რასა ნიშნავს ეს?

ალღარა. ეს ნიშნავს იმას რომ მე უღირსი დედა-კაცი გყოფილვარ და თქვენ უღირსი მამა-კაცი. ეს ამას ნიშნავს, რომ ჩვენ ორივემ შეურაცყოფა მივაყენეთ ანგელოზს, ზეცამ კიდევ დამსაჯა მე და იმავე სასჯელს ვერც თქვენ ასკილდებით.

მეფე. საიდან შემოკარეიათ გულში გრძობა აგრეთი შებრალებისა? ნუ მალვინებთ ექვს თქვენს სიყვარულში!

ალღარა. ჩემს სიყვარულში? მაძრწუნებთ თქვენ მაგითი.

მეფე. ეს რა მესმის!

ალღარა. შეიტყეთ; ჩემს გულს სხვა მფლობელობს. მე მართა შუროსიძებისათვის გამოგიცხადეთ თქვენ სიყვარული.

მეფე. აღდარა!

აღდარა. ღმერთმა შემინდო შეტოვებანი, და თქვენ კი იმ საცოდაის გულისთვის დაიტანჯებით.

მეფე. ეს რა არის? სიზმარი ხომ არ არის? შენ მეუბნები ამას, თუ ჩემი მქენჯავი ციება?

აღდარა. ხმა ამოიღო ჩემმა და შენმა ინდისმა!

მეფე. კაცი რომელიც შენ გიყვარს, ეს ის არის— რომელსაც სასიკვდილოდ დასჯა გადაწყვიტე!... როგორა ვცდებოდ! იმის სიყვარლით დასჯას. მანგებამ მოგიყვანათ თქვენ ამ სასოწარკვეთილებამდის! იგი მოკვდება, იცოდე რომ მოკვდება!...

აღდარა. არა, იმას დედოფალი დაიხსნის!

მეფე. დაიხსნის? გვიანდა!

აღდარა. ოჰ, შაჩუმდი!

მეფე. და თუ არა, მე თვითონ...

აღდარა. (არ უშვებს) არა, შენ ვერ წახვალ.

მეფე. გამეცალე!...

აღდარა. მოკვდები მე...

მეფე. არა, ჯერ ის მოკვდება.

აღდარა და მეფე. (დინახავენ შემოსულ დედოფალს) ახ!

აღდარა. დედოფალო! (გაჩუმდება კოტახნობით, ეშინიან ღონ ალვარის ამბის გაგებისა)

მეფე. თქვით!

აღდარა. ცოცხალია იგი?

მეფე. იგი მოკვდა, არა?

დედოფალი. არა, მე იგი დაეიხსენი!

მეფე. ეჰ, მკაცრო სევ-ველო! (უგრძნობად დავცემა)

დედოფალი. ო, ზეცაო!

აღდარა. ამან ყველფერი შეიტყო, თქვენი სამაგიერო გადაუხადე.

დედოფალი. რა ჰქენი ეს? (მივარდება კარებს, რომელიც სცენის სიღრმეშია) მიშველეთ, მიშველეთ! (მიიბრუნს მეფესთან) ფილიპე! ამას აღარ ესმის.. სუნთქვა შეჩერებია! გაიქცი, უბედურო! გაიქცი! მიშველე ღმერთო მართალო! წაიღეთ ამისი სიცოცხლის მაგიერად ჩემი სიცოცხლე (აღდარა მიბრბის ეისმეს დასაძახებლად, დედოფალი ფილიპეს ახლო მუხლზე დევცემა)

მეფე. ინტერესმა ჩაუღრმედა. ნ—თ—ქესა

დასასრული 4 აქტისა.

კვირიდან კვირამდე

საფრანგეთის ჟღერებში Paris-ში წარსული წლის ოქტომბრის ნახევარში პარიზის დასავლეთი ნაწილი „თსუს. ილ. ჭკუჭკუჭისას; ეს პარიზის დასავლეთი ნაწილი ცელივებით ფრანგულ კნახედ ქვეყანას ქალს კანდი-სი-კოლონას.

მეფე ნიშნის ნახევარში * * * მკვიდრი...

ჩამდინიკი ამხანაგებს; გიგო ასიტაკს, ნიკოლოზს ჩახლამე და ისქანდერს ერთთ დროება გატურბით ვერის დუქნებში; უფროვ რალსკადე კინკლასას მასკლით და ერთს მათგანს დას დაუფის ისქანდერისათვის. დაჭრიდსაც ამოკლო დას დასკურავთ, მკერამ ისინი გატყუელიყენ და შორიდგან ჰქების სრლად დაქწეთ, დაჭრიდი დიდხანი გდებულიყო უნატროხათ.

* * *

დაეს ჩენი ქართული დრამატული დასი გავმსჯელოს პარიზისში. პირველი წარმოდგენის გამართაქს გარში. ითამაშებენ 3 მოქმედ. კომედიას „სადაო მკლამდობა“ ვადევილი „დატროადდა ჟანა“. დასის გამკეთ არის ვასილი ალექსის-მე სასიძე.

„თეატრის“ უოსტა.

ბ-ს რ. ალის-ბეულს, თქვენი შენიშვნა, (თეატრის მკვლელებს“ ვერ დაიბეჭდება—მიზეზი თქვენ ჩვენზედ კარგად უნდა მოგესწინებოდეთ,—ან იქნება, როგორც ყურ სოფელში ჩავარდნილს და ავათომოთობით დაურღობილს ვაქს.“ თქვენ სრულებით დაგვიწუდათ „ხმანი და უწმარური ქალაქის ქირვეულობა“? ეგ ქირვეულობა ყოველთვის სახეში უნდა იქონიო.

თქვენი ლექსები: ეპიტაფია, ელეგია და ნაკვერხხალი „პოეტურს სისუბუქეს“ მოკლებულია და საბოლოოდვიც არის—ამიტომ ვერ დაგეჭვადეთ, ხოლო მიბაძვა ღერმან ტოვისადმი და სიმღერა გლადიატორთა დაბეჭდილი იქნებან. პოეტი ამ ნომერში იაქვება და; ნუ გფუნებთ კი, ეგ უკანასკნელი ლექსი ბეკრად სჯობია ზევით დასახელებული თქვენი სუთი ლექსებს.. თუ დროს როგორმე მოიმარჯვებთ, კარგი იქნება, რომ პატარა პატარა ფსიხოლოგიური ეტიუდების წერას მიჰყვეთ, ხოლო პროზაული ფორმით კი. დასასრულ. ნუ მოკლებთ თქვენს მეცადინეობას ჩვენს რედაქციას.

ბ-ს-ს-დ— თქვენი ლექსი... „მწვანე კარები“ ჯერ მეტად მწვანეა და მევახეც; გირჩევთ რომ მწილიად ჩალოთ, იორემ ჩვენ გვაწუენს და თქვენთვისაც ვაფუქდება...

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერ გ. გუნიანკე